სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/83

ქ. თბილისი 25 ოქტომბერი 2019

ააიპ „სახანძრო უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი წესდების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ოქტომბრის №01-05-04/305 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს წინადადება სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ერთობლივად ააიპ „სახანძრო უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ დაფუძნების შესახებ;
2. ასევე, მოწონებულ იქნეს აღნიშნული ცენტრის წესდება;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**